ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი № 01

დაბა ქედა **29 მარტი, 2018 წელი**

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 12:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა რომან დავითაძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - საბჭოს წევრი;
ჰამიდა ზოიძე - საბჭოს წევრი;
ზაზა დავითაძე - საბჭოს წევრი;
თეა შარაშიძე - საბჭოს წევრი;
მაგდა მახარაძე - საბჭოს წევრი;
ინდირა გორგაძე - საბჭოს წევრი;
თინა თებიძე - საბჭოს წევრი;
მადონა ფალავანდიშვილი - საბჭოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
მზია ბოლქვაძე - საბჭოს წევრი;

სხდომის დაწყებამდე ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ რომან დავითაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N34 ბრძანება ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ და 2018 წლის 23 თებერვლის N6 დადგენილება გენდერული თანასწორობის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ რომან დავითაძემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;
2. ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივნის არჩევა.

დღის წესრიგის პირველ საკითხად განხილულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა. საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა საბჭოს თავმჯდომარე რომან დავითაძემ, რომელმაც დააყენა წინადადება საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ თეა შარაშიძის არჩევის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ საკითხი ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ თეა შარაშიძის არჩევის შესახებ ღია კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭომ გადაწყვიტა:

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნას საბჭოს წევრი - თეა შარაშიძე;

დღის წესრიგის მეორე საკითხად განხილულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივნის არჩევა. საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა საბჭოს თავმჯდომარე რომან დავითაძემ, რომელმაც დააყენა წინადადება საბჭოს მდივნად მაგდა მახარაძის არჩევის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ საკითხი ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნად მაგდა მახარაძის არჩევის შესახებ ღია კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭომ გადაწყვიტა:

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნად არჩეული იქნას საბჭოს წევრი - მაგდა მახარაძე;

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე რომან დავითაძემ საბჭოს წევრებს წარმატებული საქმიანობა უსურვა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარე		რომან დავითაძე
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე		თეა შარაშიძე
საბჭოს მდივანი		მაგდა მახარაძე
საბჭოს წევრი		ოთარ ხარაძე
საბჭოს წევრი		ჰამიდა ზოიძე
საბჭოს წევრი		ზაზა დავითაძეს
საბჭოს წევრი		ინდირა გორგაძე
საბჭოს წევრი		თინა თებიძე
საბჭოს წევრი		მადონა ფალავანდიშვილი